ყასაბი

პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს ცხოველის (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ღორი, ბოცვერი) ტანხორცის დანაწევრება, ხორცის ნახევარფაბრიკატების დამზადება უსაფრთხოების წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით; ტანხორციდან ან რბილობიდან მსხვილ და წვრილნაჭრიან ნატურალური ნახევარფაბრიკატების ამოჭრა; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, დარბილებული ხორციდან დაკეპილი და საფანელიანი ნახევარფაბრიკატების დამზადება; დამუშავებული ხორცის შენახვა; გამოყენებულ ხელსაწყოების და ინვენტარის დასუფთავება, ნარჩენების მოვლა.

პროგრამაში ისწავლება:

- ✓ ცხოველის (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ღორი, ბოცვერი) ტანხორცის დანაწევრება
- ✓ ხორცის დამუშავებისათვის საჭირო დანის კონფიგურაციისა და ზომის შერჩევა;
- ✓ საკვებად ვარგისიანობაზე საეჭვო ხორცისთვის დამახასიათებელ ნიშნების დახასიათება;
- ✓ უსაფრთხოების წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით სხვადასხვა სახეობის ცხოველის ტანხორცის დანაწევრება მსხვილნაჭრიანი და წვრილნაჭრიანი ნახევარფაბრიკატების მისაღებად;
- ✓ უსაფრთხოების წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, ჭრის ტანხორცს/ფეშხოს სხვადასხვა ხარისხის საბითუმო (მსხვილ) ნაჭრებად დაჭრა;
- ✓ ხორცის ნახევარფაბრიკატების დამზადება - უსაფრთხოების წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით ტანხორციდან ან რბილობიდან მსხვილ და წვრილნაჭრიან ნატურალური ნახევარფაბრიკატების ამოჭრა;
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, დარბილებული ხორციდან დაკეპილი და საფანელიანი ნახევარფაბრიკატების დამზადება;
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, შენახვის პირობების და ვადების დაცვით, დამუშავებული ხორცის შენახვა;
- ✓ პროცედურის დასრულების შემდგომ წესების დაცვით გამოყენებულ ხელსაწყოების და ინვენტარის დასუფთავება, ნარჩენების მოვლა.

პროგრამის სწავლებისას გამოიყენება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ფორმატი, პრაქტიკული უნარების გამომუშავებით, ადგილზე დასწრებით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმალური ასაკი 18 წელი;
- ქალაქ თბილისში რეგისტრაცია;

პროგრამაზე მოხვედრის ეტაპები:

- დოკუმენტაციის გადარჩევა;
- გასაუბრება.

სწავლების ვადა: 1 თვე

დასაქმების სფერო: დიდი და მცირე საზოგადოებრივი კვების ობიექტები (რესტორანი, კაფე, სწრაფი კვების ობიექტი და სხვ.), თვითდასაქმება